დარგი:	საერთაშორისო სამართალი (სამოქალაქო)
ქვედარგი:	კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ და მისი დამატებითი ოქმები
ტიპი:	წერითი

კითხვა:

კუპატაძე იყო შსს თანამშრომელი. ის, ოჯახთან ერთად, იყო აფხაზეთიდან დევნილი და არ ჰქონდა საცხოვრებელი სახლი. სახელმწიფომ, კერძოდ შსს-მ მას და მის 5 სულიან ოჯახს 1994 წელს გადასცა კოტეჯი მიწის ნაკვეთით მფლობელობაში.

2003 წელს კუპატაძეს სამსახურებრივად დაეკისრა გარკვეული დავალების შესრულება, რაც მისი აზრით ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციას უკავშირდებოდა. მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულების მიუხედავად მისი უშუალო უფროსი დარჩა უკმაყოფილო.

2004 წელს შინაგან საქმეთა მინისტრის ზეპირი განკარგულების საფუძველზე, კუპატაძე და მისი ოჯახის წევრები სპეციალური დანიშნულების რაზმის დახმარებით გამოაძევეს კოტეჯიდან. ოჯახს არ მიეცა ნივთების თან წაღების შესაძლებლობა.

არსებულ ფაქტებზე/გარემოებებზე დაყრდნობით:

1. იმსჯელეთ, დაცული სფერო - განხორციელებული მოქმედებები, კონვენციით გათვალისწინებულ რომელ უფლებას შეეხება.

2. იმსჯელეთ სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებზე და დაცული უფლების მოცულობაზე.

3. იმსჯელეთ ლეგიტიმურ მიზანზე, პროპორციულობასა და თანაზომიერებაზე.

დარგი:	სამოქალაქო სამართალი
ქვედარგი:	სამოქალაქო კოდექსი
ტიპი:	წერითი

კითხვა:

შპს „ორბს“ და შპს „ტაოს“ შორის, 2017 წლის 30 აპრილს, გაფორმდა №1 და №2 ხელშეკრულება. №1 ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ორბს“ უნდა მიეწოდებინა პირველი და მეორე ხარისხის ყავის მარცვალი, მყიდველის მიერ წინასწარ შეკვეთილი რაოდენობით, ხელშეკრულებით შეთანხმებულ ფასად. №2 ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ორბს“ შპს „ტაოსთვის“ უნდა მიეწოდებინა შაქარი.

ორივე ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ტაოს“ ნასყიდობის საფასური უნდა გადაეხადა საქონლის მიწოდებიდან 10 დღის ვადაში. №2 ხელშეკრულებით, თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის შეთანხმებული იქნა პირგასამტეხლო. №1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება უზრუნველყოფილი იქნა შპს „ტაოს“ დირექტორის სოლიდარული თავდებობით.

ხელშეკრულებების თანახმად, მიწოდებული საქონლის რაოდენობასთან ან ხარისხთან დაკავშირებით პრეტენზია მყიდველს უნდა განეცხადებინა საქონლის მიწოდებიდან 7 დღის ვადაში. 2017 წლის 1 მაისს შპს „ტაომ“ შეუკვეთა 12 000 ლარის ღირებულების პირველი ხარისხის ყავის მარცვალი და 10 000 ლარის ღირებულების შაქარი. შპს „ორბმა“ შპს „ტაოს“ მიაწოდა 12 000 ლარის ღირებულების მეორე ხარისხის ყავის მარცვალი და 10 000 ლარის ღირებულების შაქარი, რომელიც 2017 წლის 2 მაისს სრულად მიიღო მყიდველმა.

2017 წლის 10 მაისს შპს „ტაომ“ შპს „ორბს“ საბანკო ანგარიშზე ჩაურიცხა 10 000 ლარი, ისე რომ შპს „ორბისთვის“ არ უცნობებია, თუ რომელი პროდუქციის ღირებულებას იხდიდა.

შპს „ორბმა“ სარჩელი აღძრა შპს „ტაოს“ და მისი დირექტორის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხეებისთვის სოლიდარულად მიწოდებული ყავის ღირებულების გადაუხდელი ნაწილის – 2 000 ლარის, ასევე შპს „ტაოსთვის“ შაქრის ღირებულების 10 000 ლარის და მისი გადახდის ვადის გადაცილებისთვის დარიცხული პირგასამტეხლოს 1 000 ლარის გადახდის დაკისრება.

შპს „ტაომ“ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მის მიერ გადახდილი თანხა უნდა ჩაითვალოს მიწოდებული შაქრის ღირებულების ანგარიშში. რაც შეეხება ყავის ღირებულებას, მყიდველის განმარტებით, გამყიდველმა მას მიაწოდა მეორე ხარისხის ყავის მარცვალი, ნაცვლად შეკვეთილი პირველი ხარისხის ყავის მარცვლისა. ამასთან, მიწოდებული ყავის მარცვალი იყო ნოტიო, რომლის გამოშრობის მიზნით შემძენს მოუწია ხარჯის – 1 000 ლარის ოდენობით გაწევა, რომელიც უნდა გამოაკლდეს ყავის მარცვლის ღირებულებას.

მოცემულ ფაქტებზე/გარემოებებზე დაყრდნობითა და შესაბამის სამართლებრივ ნორმებზე მითითებით:

1. შეაფასეთ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა.

2. იმსჯელეთ შპს „ორბის“ მოთხოვნის შესაძლო მატერიალურ–სამართლებრივ საფუძველზე.

3. იმსჯელეთ შპს „ტაოს“ შესაგებლის შესაძლო მატერიალურ–სამართლებრივ საფუძველზე.

4. იმსჯელეთ როგორ უნდა გადაწყდეს დავა.

დარგი: საერთაშორისო სამართალი (სამოქალაქო)

ქვედარგი: კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ და მისი დამატებითი ოქმები

ტიპი: წერითი

კითხვა:

კუპატაძე იყო შსს თანამშრომელი. ის, ოჯახთან ერთად, იყო აფხაზეთიდან დევნილი და არ ჰქონდა საცხოვრებელი სახლი. სახელმწიფომ, კერძოდ შსს-მ მას და მის 5 სულიან ოჯახს 1994 წელს გადასცა კოტეჯი მიწის ნაკვეთით მფლობელობაში.

2003 წელს კუპატაძეს სამსახურებრივად დაეკისრა გარკვეული დავალების შესრულება, რაც მისი აზრით ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციას უკავშირდებოდა. მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულების მიუხედავად მისი უშუალო უფროსი დარჩა უკმაყოფილო.

2004 წელს შინაგან საქმეთა მინისტრის ზეპირი განკარგულების საფუძველზე, კუპატაძე და მისი ოჯახის წევრები სპეციალური დანიშნულების რაზმის დახმარებით გამოაძევეს კოტეჯიდან. ოჯახს არ მიეცა ნივთების თან წაღების შესაძლებლობა.

არსებულ ფაქტებზე/გარემოებებზე დაყრდნობით:

1. იმსჯელეთ, დაცული სფერო - განხორციელებული მოქმედებები, კონვენციით გათვალისწინებულ რომელ უფლებას შეეხება.

2. იმსჯელეთ სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებზე და დაცული უფლების მოცულობაზე.

3. იმსჯელეთ ლეგიტიმურ მიზანზე, პროპორციულობასა და თანაზომიერებაზე.

დარგი:	ადმინისტრაციული სამართალი
ქვედარგი:	ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
ტიპი:	წერითი

კითხვა:

საქართველოს მოქალაქე ამირანმა 2017 წლის 30 ნოემბერს მიმართა ადმინისტრაციული ორგანოს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოთხოვნა დაკმაყოფილდა და 2018 წლის 2 მარტს გამოსცა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

აღნიშნულ აქტს დაინტერესებული პირი ბადრი გაეცნო 2018 წლის 15 მარტს. 2018 წლის 17 აპრილს ბადრიმ გაასაჩივრა აქტი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და მოითხოვა მისი ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ დარღვეული იყო განცხადების განხილვის ვადა.

ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ 2018 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ადმინისტრაციული საჩივარი და გასაჩივრებული აქტი ძალადაკარგულად ცნო იმ მოტივით, რომ დარღვეული იყო განცხადების განხილვის ვადა.

მოცემულ ფაქტებზე/გარემოებებზე დაყრდნობითა და შესაბამისი სამართლის ნორმებზე მითითებით:

1. განსაზღვრეთ დარღვეულია თუ არა განცხადების განხილვის ვადა.

2. იმსჯელეთ ადმინისტრაციული საჩივრის საფუძვლიანობაზე.

3. შეაფასეთ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებების კანონიერება, პროცედურული საფუძვლით.

პასუხი დაასაბუთეთ.

დარგი:	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი
ქვედარგი:	ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
ტიპი:	წერითი

კითხვა:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში განიხილებოდა გიორგის სააპელაციო საჩივარი საჯარო რეესტრის მიმართ, რომელმაც გიორგის მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით დაურეგისტრირა დავითს. საქმის განხილვისას სხდომაზე არ გამოცხადდა არცერთი მხარე, თუმცა სხდომაზე გამოცხადდა დავითი, რომელმაც მოითხოვა საქმეში მე-3 პირად ჩართვა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე. სასამართლომ იგი მე-3 პირად ჩააბა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე და განმარტა, რომ განჩინება არ საჩივრდებოდა. ამასთან, საქმის განხილვა გადადო სხვა დროისათვის. მომდევნო სხდომაზე საქმის განხილვაზე გამოცხადდა მხოლოდ ზემოაღნიშნული მე-3 პირი დავითი, ხოლო მხარეები კვლავ არ გამოცხადდნენ. სასამართლომ კვლავ გადადო საქმის განხილვა. მესამე სხდომაზე არ გამოხადდა არცერთი მხარე, მათ შორის აღარც მე-3 პირი.

სასამართლომ მხარეთა არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის მოტივით განუხილველი დატოვა სააპელაციო საჩივარი. ეს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გიორგიმ, ხოლო დავითმა კი კერძო საჩივრით გაასაჩივრა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით საქმეში მესამე პირად ჩაბმაზე უარის განჩინება.

არსებულ ფაქტებზე/გარემოებებზე დაყრდნობით:

1. იმსჯელეთ მე-3 პირის საქმეში ჩართვის კანონიერებაზე.

2. სამართლებრივად შეაფასეთ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

3. რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ზემდგომმა სასამართლომ გიორგისა და დავითის კერძო საჩივრების განხილვის შემდგომ?

პასუხი დაასაბუთეთ.